პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 178 (3155)

13 სექტემბერი. 1966 წ. სამშაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 23-ე წელი

## არც ერთი პირველი ადგილი

გლედი. გასულ კვირას აქ დამთავრდა მსოფლიოს [illegible] ნიჩბოსნობაში, რომელშიც [illegible] ტებლად გამოვიდნენ საბჭოთა სპორტსმენები. მათ ვერ შეძლეს ერთი ოქროს მედლის მოპოვებაც კი, მაშინ, როცა ერთი წლის წინათ დუისბურგში მოწყობილ ევროპის ჩემპიონატზე მათი გამოსვლა ტრიუმფალური იყო. წარმატება ხვდა წილად გდრ-ის წარმომადგენლებს, რომლებმაც დაისაკუთრეს 3 პირველი ადგილი. მსოფლიოს ჩემპიონები გახდნენ აგრეთვე, აშშ-ის, გფრ-ის, შვეიცარიის, პოლონეთის სპორტსმენები.

## ფოტოფინიშის ნაცვლად...

◆ ლონდონი, 12 სექტემბერი. ევროპის ჩემპიონმა და რეკორდსმენმა 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში ინგლისელმა ბ. მაკგრეგორმა დაამყარა ახალი მსოფლიო რეკორდი 110 იარდზე — 53,5. ეს მოხდა ბლეკპულში მიმდინარე დიდი ბრიტანეთის ჩემპიონატზე.

◆ ვროცლავი, 12 სექტემბერი. წიდიან ბილიკებზე მოტორბოლაში მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის მედლები დაიმსახურეს საბჭოთა სპორტსმენებმა ბ. სამოროდოვმა, ი. პლეხანოვმა, ვ. ტროფიმოვმა და ფ. შაინუროვმა. როგორც შარშან, ისე წელსაც მსოფლიოს ჩემპიონები გახდნენ პოლონელი მოტომრბოლელები.

◆ ჰაგენი. 12 სექტემბერი. 2.000 მეტრზე რბენაში მსოფლიოს ახალი რეკორდის ავტორი გახდა 24 წლის დასავლეთგერმანელი სტუდენტი ჰ. ნორპოტი. იგი მსოფლიოში პირველი მორბენალი გახდა, რომელმაც ეს დისტანცია დაფარა 5 წუთზე ნაკლებ დროში — 4.57,8.

## მხოლოდ ბრინჯაო

კვირას პრაღაში დამთავრდა ფრენბურთელ ვაჟთა მსოფლიო ჩემპიონატი. დიდ წარმატებას მიაღწიეს ჩეხოსლოვაკიელმა სპორტსმენებმა, რომლებმაც მოიპოვეს ჩემპიონის ოქროს მედლები. ვერცხლის მედლები წილად ხვდათ რუმინელებს. საბჭოთა ფრენბურთელები ბრინჯაოს დასჯერდნენ. მათ გდრ-ისა და იაპონიის ფრენბურთელების მსგავსად 11 ქულა დააგროვეს და წინ გასვლა მხოლოდ პარტიათა უკეთესი შეფარდებით შეძლეს.

შაბათს გაიმართა VI ტურის მატჩები. სსრ კავშირის ნაკრებმა „მშრალი" ანგარიშით — 3:0 (15:3, 15:13, 15:13) დაამარცხა ბულგარეთის გუნდი, რუმინელებმა მოუგეს იაპონელებს (3:1), პოლონელებმა — იუგოსლაველებს (3:1), ხოლო გდრ-ის ფრენბურთელები დამარცხდნენ ჩეხოსლოვაკიელებთან (1:3). ბოლო ტურში საბჭოთა ფრენბურთელებმა სძლიეს პოლონელებს — 3:1 (15:13, 15:11, 10:15, 15:8). დანარჩენი მატჩები ასე დამთავრდა: რუმინეთი — ბულგარეთი 3:1, იუგოსლავია — გდრ 0:3, ჩეხოსლოვაკია — იაპონია 2:3.

ქვემოთ მოგვყავს ფრენბურთელ ვაჟთა მსოფლიო ჩემპიონატის საბოლოო ცხრილი.

| | თ. | მ. | წ. | ქ. |
|---|---|---|---|---|
| ჩეხოსლოვაკია | 7 | 6 | 1 | 13 |
| რუმინეთი | 7 | 5 | 2 | 12 |
| სსრ კავშირი | 7 | 4 | 3 | 11 |
| გდრ | 7 | 4 | 3 | 11 |
| იაპონია | 7 | 4 | 3 | 11 |
| პოლონეთი | 7 | 3 | 4 | 10 |
| ბულგარეთი | 7 | 2 | 5 | 9 |
| იუგოსლავია | 7 | 0 | 7 | 7 |

ფრენბურთი

# გამოვლინდნენ ჩემპიონები

### სსრ კავშირის პირად-გუნდური პირველობა

თბილისის ზღვა პირველად მასპინძლობს სსრ კავშირის ჩემპიონატს წყლის თხილამურებში. შეჯიბრება შაბათს დაიწყო. მასში ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხის 80-ზე მეტი სპორტსმენი მონაწილეობს.

როგორც ჩვენი გაზეთის მკითხველებმა იციან, პირველ დღეს გაიმართა წყვილი თხილამურით სლალომი ქალთა შორის. საპრიზო სამეულის შესახებ ჩვენ უკვე ვიუწყებოდით. დავსძენთ, რომ საქართველოს გუნდის წევრი შ. ცნობილაძე მე-9 ადგილზე გამოვიდა. ეს არც თუ ცუდი შედეგია, თუ გავითვალისწინებთ, რომ ცნობილაძე დაშავებული ფეხით ასპარეზობდა. სსრ კავშირის შარშანდელი ჩემპიონი, მოსკოველი ნ. ნეჩაევა წარუმატებლად გამოვიდა და მხოლოდ VI ადგილი დაიკავა. ამ დღეს უნდა გამართულიყო წყვილი თხილამურით სლალომი ვაჟთა შორის, მაგრამ იგი გადაიდო.

მეორე დღეს სპორტსმენებმა ახალი ძალით განაახლეს ასპარეზობა, მაგრამ ამჯერად ზღვამ უმუხთლათ, — ღელავდა და შეჯიბრების მონაწილეებს ოსტატობის გამომჟღავნების საშუალებას არ აძლევდა.

ამის მიუხედავად, ასპარეზობა საინტერესოდ ჩატარდა. გაიმარჯვა ლენინგრადელმა ი. ჟუკოვმა. II ადგილზე გავიდა მისი თანაქალაქელი ა. პეტროვი, ხოლო III — მოსკოველი ვ. ოყოგინი. ქართველ სპორტსმენთა შორის საუკეთესო იყო ა. სანაძე, რომელმაც მე-13 ადგილი დაიკავა. სსრ კავშირის შარშანდელი ჩემპიონი მოსკოველი ი. ფილინი მხოლოდ მე-15 ადგილს დასჯერდა.

საერთო გუნდურ ჩათვლაში ლიდერობს მოსკოვის კოლექტივი — 6633,95 ქულა. მას ზუსტად 150 ქულით ჩამორჩება რსფსრ-ს გუნდი.

მასპინძლებმა სტუმართმოყვარეობა გამოიჩინეს. ახალი ტრამპლინები, სწრაფმავალი კატერები და შესანიშნავი ტრასები სპორტსმენებს ასპარეზობისთვის ხელსაყრელ პირობებს უქმნიდნენ. იმედია, ეს შეჯიბრება, ჩვენს რესპუბლიკაში საწყლოსნო-სათხილამურო სპორტის განვითარების კარგი სტიმული იქნება.

• • •





სურათებზე: ზევით — წყვილი თხილამურით სლალომში გამარჯვებული გ. ლიტვინოვა; ქვევით — სსრ კავშირის ჩემპიონი ამავე სახეობაში ვაჟთა შორის ი. ჟუკოვი.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

# არმიელთა ტურნირის ფინიში

ბრატისლავა. საბჭოთა არმიის ცენტრალური სპორტული კლუბის კალათბურთელებმა გაიმარჯვეს მეგობრული არმიების ტურნირში. უკანასკნელი მატჩი ჩვენს გუნდს უნგრელებთან ჰქონდა, რომლებიც გამარჯვების შემთხვევაში II ადგილზე გადიოდნენ. სწორედ ამან განაპირობა შეხვედრის დაძაბული ხასიათი. საბჭოთა გუნდი მთელი მატჩის მანძილზე ძირითადი შემადგენლობით თამაშობდა (ალაჩაჩიანი ტრავინი, ვოლნოვი, ლიპსო, ჩეჩურა).

I ტაიმი საბჭოთა კალათბურთელებმა მოიგეს ანგარიშით — 54:40, ხოლო შეხვედრა — 88:79. ფინალური მატჩის ყველაზე შედეგიანი თავდამსხმელები იყვნენ ტრავინი (28 ქულა) და ლიპსო (18).

მოულოდნელი შედეგით აღინიშნა ჩინეთისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდების შეხვედრა. გაიმარჯვეს ჩინელებმა — 78:71. დანარჩენი შედეგებიდან აღსანიშნავია გდრ-ის გამარჯვება ბულგარეთზე — 72:64, და პოლონეთისა — რუმინეთზე — 104:73.

სატურნირო ცხრილში ადგილები ასეთი თანმიმდევრობით განაწილდა: სსრ კავშირი (14 ქულა), პოლონეთი (12), უნგრეთი (12), ჩეხოსლოვაკია (10), გდრ (9), ბულგარეთი (9), ჩინეთი (9), რუმინეთი (9).

კალათბურთი

# გადაწყდა კონგრესზე

ფრენბურთის საერთაშორისო ფედერაციის კონგრესზე, პრაღაში, გადაწყდა, რომ ფრენბურთელთა მომავალი მსოფლიო ჩემპიონატი (როგორც ქალთა, ისე ვაჟთა გუნდებისთვის) გაიმართება 1970 წელს ბულგარეთში. ამ წინადადებას მხარი დაუჭირეს 25 ქვეყნის წარმომადგენლებმა. 24 ხმა მიიღო იტალიამ, რომელიც აგრეთვე აცხადებდა მასპინძლობის პრეტენზიას.

კონგრესმა განიხილა მეხიკოს ოლიმპიადაში ფრენბურთელთა მონაწილეობის საკითხიც. საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა პოლ ლიბომ დაადასტურა, რომ ოლიმპიურ თამაშებზე ქალთა ფრენბურთი კვლავ იქნება წარმოდგენილი. ოლიმპიელ ვაჟთა გუნდების ასპარეზობაში მონაწილეობას მიიღებენ ტოკიოს ოლიმპიადის პრიზიორები (სსრ კავშირი და ჩეხოსლოვაკია), წლევანდელი მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე 2 გუნდი, რომლებმაც გათამაშების ცხრილში საუკეთესო ადგილები დაიკავეს (გარდა სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიისა), ამერიკის ზონაში I-II ადგილებზე გასული გუნდები, მექსიკის ეროვნული ნაკრები, აგრეთვე, ევროპის, აზიისა და აფრიკის თითო კოლექტივი. ქალთა შორის ოლიმპიური ჩემპიონის სახელისთვის იბრძოლებენ ტოკიოს ოლიმპიადის ორი პრიზიორი — იაპონია და სსრ კავშირი, ქალთა გუნდების წლევანდელი მსოფლიო ჩემპიონატის 3 პრიზიორი (გარდა იაპონიისა და სსრ კავშირისა) და მექსიკის ნაკრები.

## სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

გუშინ კიევში სსრ კავშირის პირველობაზე მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „დინამო" და როსტოვის ასკ. შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 1:1. ბურთები გაიტანეს ესკოვმა (41-ე წუთზე) და საბომ (58-ე წუთზე, 11-მეტრიანი საჯარიმოდან).

„ა" კლასი I ჯგუფი

### გათამაშების ცხრილი

სათადარიგო შემადგენლობანი

მდგომარეობა 12 სექტემბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო" (კიევი) | 24 | 14 | 4 | 6 | 47—27 | 32 |
| „არარატი" (ერევანი) | 25 | 10 | 10 | 5 | 43—29 | 30 |
| „დინამო" (მინსკი) | 23 | 12 | 6 | 5 | 34—24 | 30 |
| „დინამო" (თბილისი) | 23 | 10 | 8 | 5 | 31—26 | 28 |
| ცსკა | 22 | 10 | 7 | 5 | 25—21 | 27 |
| „დინამო" (მოსკოვი) | 23 | 8 | 10 | 5 | 26—22 | 26 |
| ასკ (როსტოვი) | 24 | 8 | 9 | 7 | 27—24 | 25 |
| „ტორპედო" (მოსკოვი) | 26 | 8 | 9 | 9 | 25—29 | 25 |
| „ლოკომოტივი" (მოსკოვი) | 23 | 9 | 6 | 8 | 31—28 | 24 |
| „კაირატი" (ალმა-ათა) | 21 | 8 | 7 | 6 | 29—27 | 23 |
| „ნეფტიანიკი" (ბაქო) | 24 | 10 | 3 | 11 | 27—25 | 23 |
| „პახტაკორი" (ტაშკენტი) | 22 | 6 | 9 | 7 | 28—24 | 21 |
| „შახტიორი" (დონეცკი) | 22 | 6 | 8 | 8 | 25—28 | 20 |
| „ჩერნომორეცი" (ოდესა) | 24 | 5 | 10 | 9 | 23—34 | 20 |
| „ზენიტი" (ლენინგრადი) | 24 | 6 | 7 | 11 | 29—36 | 19 |
| „კრ. სოვეტოვი" (კუიბიშევი) | 23 | 6 | 7 | 10 | 22—34 | 19 |
| „ტორპედო" (ქუთაისი) | 23 | 6 | 6 | 11 | 21—28 | 18 |
| ასკ (ოდესა) | 23 | 4 | 9 | 10 | 14—25 | 17 |
| „სპარტაკი" (მოსკოვი) | 23 | 6 | 3 | 14 | 24—40 | 15 |

• • •

ბათუმი, 12 სექტემბერი. დღეს აქ გაიმართა მორიგი კალენდარული მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ა" კლასის II ჯგუფის I ქვეჯგუფის გუნდებს შორის. ადგილობრივმა „დინამომ" მიიღო კრასნოდარის „ყუბანი" და დაამარცხა იგი — 1:0.

## კვლავ წარმატება

ლუგანსკი (დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.). გრძელდება ჭაბუკ ფეხბურთელთა საკავშირო შეჯიბრების დასკვნითი ეტაპის მატჩები. როგორც ცნობილია, შეჯიბრებაში მონაწილე 8 გუნდი 2 ჯგუფადაა დაყოფილი. პირველში გამოდიან: თბილისისა და მოსკოვის ახალგაზრდობის საფეხბურთო სკოლების გუნდები, აგრეთვე, ზაპოროჟიეს „მეტალურგი" და ფრუნზეს „ალგა", II ჯგუფში თამაშობენ ცსკა, თბილისის „დინამო", ტაშკენტის „პახტაკორი" და ივანოვოს „ტექსტილშჩიკი".

მოგვყავს მორიგი შეხვედრების შედეგები: I ჯგუფი: „მეტალურგი" (ზაპოროჟიე) — „ალგა" (ფრუნზე) 2:0, ახალგაზრდობის საფეხბურთო სკოლა (თბილისი) — „ალგა" (ფრუნზე) 1:0.

II ჯგუფი. ცსკა — „ტექსტილშჩიკი" (ივანოვო) 4:0, ცსკა „პახტაკორი" (ტაშკენტი) 1:2, „დინამო" (თბილისი) — „ტექსტილშჩიკი" (ივანოვო) 2:1.

# მხოლოდ სამი გუნდის მონაწილეობით

თბილისში, „მონკავშირის" სასროლეთზე ორი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა დედაქალაქის პირად-გუნდური პირველობა სასტენდო სროლაში. მასში მხოლოდ სამმა კოლექტივმა — საქართველოს მონადირეთა კავშირის, სამხედრო-სამონადირეო საზოგადოების და „ლოკომოტივის" ნაკრებმა გუნდებმა მიიღეს მონაწილეობა.

სროლა ადგილიდან და მრგვალ სტენდზე — ასეთი იყო შეჯიბრების პროგრამა. სპორტსმენს 100 სამიზნე გუნდური სროლისთვის ეძლეოდა, 100 კი — პირადი პირველობისთვის. გუნდურ ჩათვლაში, როგორც ადგილიდან, ისე მრგვალ სტენდზე გაიმარჯვეს „მონკავშირის" მსროლელებმა. ორივე სახის კომპლექსში კი — გუნდური პირველობა და გარდამავალი თასი საქართველოს მონადირეთა კავშირის გუნდმა მოიპოვა (მწვრთნელი, სპორტის ოსტატი ვ. ჯაბახიძე).

მრგვალ სტენდზე ყველაზე საუკეთესო შედეგი (100-დან 97) სპორტის ოსტატმა ტ. ჟღენტმა აჩვენა და ჩემპიონობა გაინაღდა. მეორე ადგილზეა ბ. ანტონოვი (88), მესამეზე — ქ. კლდიაშვილი (84).

ადგილიდან სროლაში პირველ დღეს დაწინაურდა სპორტის ოსტატი ი. საგანელიძე („მონკავშირი"). მას ერთი ქულით ჩამორჩებოდა სპორტის ოსტატი სპარტაკელი ზ. მაჩხანელი. მაგრამ მეორე დღეს ზ. მაჩხანელმა 187 სამიზნე დააზიანა და დედაქალაქის პირველობაც მოიგო. II ადგილზე გამოვიდა ი. საგანელიძე (180 ქულა), III — ზ. იუნკინი („ლოკომოტივი") — 177.

ასპარეზობის შემდეგ დაკომპლექტდა დედაქალაქის ნაკრები გუნდი, რომელიც თბილისში 24-25 სექტემბერს მონაწილეობას მიიღებს საქართველოს პირველობაში.

**ჯ. მოწონელიძე,**
საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

• • •

**სურათზე:** ზ. მაჩხანელი (მარცხნივ) და ტ. ჟღენტი ასპარეზობისას.

ფოტო თ. გაჩეჩილაძისა.



# მოუმზადებელი შეხვდნენ

◆

**სსრ კავშირის პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში ახალგაზრდებს შორის**

◆

ვ. ი. ლენინის სახელობის სპორტდარბაზში დამთავრდა სსრ კავშირის პირადი პირველობა ახალგაზრდებს შორის თავისუფალ ჭიდაობაში. ასპარეზობაში მონაწილეობდა მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვის, ლენინგრადის 149 ათლეტი. ასეთი მასშტაბის შეჯიბრება ჩვენში მეორედ ეწყობა და უნდა ითქვას, რომ მან დიდი სამსახური გაუწია ახალგაზრდებში თავისუფალი ჭიდაობის პოპულარიზაციას.

ტურნირი ახალი წესებით ჩატარდა. ბრძოლის ფორმულა იყო 3 სამწუთიანი რაუნდი. ამ სიახლემ ჭიდაობა უფრო მიმზიდველი გახადა. ათლეტებს პასიურობისთვის ფაქტიურად დრო აღარ რჩებოდათ, ამიტომ ისინი ბევრს და თავგანწირვით მუშაობდნენ.

ჩემპიონატის წინ სპეციალისტთა უმრავლესობას ფავორიტებად ჩვენი რესპუბლიკის ათლეტები მიაჩნდათ, მაგრამ, სამწუხაროდ, ისინი ტურნირს მოუმზადებელი შეხვდნენ. სწორედ ამიტომ, საქართველოს მოჭიდავეთა უმრავლესობას ბოლომდე არ ჰყოფნიდა გამძლეობა და მოგებულ ორთაბრძოლას ბოლო წუთებზე აგებდა. ასეთი დიდი შეჯიბრება წელიწადში ერთხელ ტარდება და სპორტსმენებმა მასში წარმატებით მონაწილეობას მეტი ყურადღება უნდა დაუთმონ.

ქვემსუბუქი წონის ათლეტი გ. ყვარელაშვილი ნახევარფინალში ალიევს (რსფსრ) შეხვდა. მსაჯებმა გაუგებარი გადაწყვეტილება მიიღეს და ბრძოლა ფრედ შეაფასეს. ყვარელაშვილს მომდევნო ბრძოლა მოსკოველ კაზახოვთან ჰქონდა. მსაჯთა მიერ დაშვებული შეცდომის გამოსასწორებლად ქართველ მოჭიდავეს აუცილებლად უნდა მოეგო. სწორედ ამიტომ ერთ-ერთი მძაფრი შეტევის დროს მეტოქემ იგი შეცდომაზე დაიჭირა. ყვარელაშვილი დამარცხდა.

ქვესაშუალო წონაში კარგი შთაბეჭდილება დატოვეს ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა თ. ქავთარაშვილმა და ა. თედიაშვილმა. ქავთარაშვილმა ტურნირში I ადგილი დაიკავა, თედიაშვილმა — II.

უდავოდ საპატიოა საშუალო წონის ათლეტის შ. პაპაშვილის გამარჯვება. მიუხედავად იმისა, რომ მან ყველაზე მეტი ბრძოლა ჩაატარა, დამსახურებულად დაიკავა I ადგილი. ქების ღირსია ლ. კინწურაშვილიც, რომელმაც მძიმე წონის ათლეტთა შორის II იყო.

**ტ. ფილიშვილი,**
სპორტის ოსტატი.

ქვემოთ მოგვყავს პრიზიორთა სამეულები:

**უმჩატესი წონა.** 1. ვ. ბაბაევი, 2. ა. ამირბეკოვი (ორივენი — აზერბაიჯანი), 3. ა. კუზმენკო (მოსკოვი).

**მჩატე.** 1. ა. მამედოვი (აზერბაიჯანი), 2. ა. [illegible] 3. ვ. ხერღიუ[illegible] (უკრაინა).

**ქვემსუბუქი.** 1. ვ. [illegible] (მოსკოვი), 2. გ. ყვარელაშვილი (საქართველო), 3. რ. ჩიგუშოვი (უკრაინა).

**მსუბუქი.** 1. მ. იბრაგიმოვი (აზერბაიჯანი), 2. ქ. ლალაშკოევი (რსფსრ), 3. ლ. ხუგაევი (თურქმენეთი).

**ქვესაშუალო.** 1. თ. ქავთარაშვილი, 2. ა. თედიაშვილი (ორივენი — საქართველო), 3. ი. ბოევი (რსფსრ).

**საშუალო.** 1. შ. პაპაშვილი (საქართველო), 2. პ. ფიასი (ბელორუსია), 3. ნ. ბახოვი (რსფსრ).

**ქვემძიმე.** 1. ნ. მუხანოვი (უკრაინა), 2. ა. შეხოვი (მოსკოვი), 3. ლ. ჩებოტარიოვი (რსფსრ).

**მძიმე.** 1. ს. ანდიევი (რსფსრ), 2. ლ. კინწურაშვილი (საქართველო), 3. ა. სოკოლოვი (უკრაინა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფიზკულტურასა და სპორტს — ფართო ასპარეზი სოფლად

ახლახან ცხინვალში გაიმართა სამხრეთ ოსეთის „კოლმეურნის" საოლქო საბჭოს II პლენუმი. მოხსენებით გამოვიდა საოლქო საბჭოს თავმჯდომარე ა. გალეგაშვილი, რომელმაც შეკრებილთ მოუთხრო ბოლო 8 თვის მანძილზე ჩატარებული მუშაობის შესახებ. მან ვრცლად ილაპარაკა, თუ რა მნიშვნელოვანი ამოცანები წამოჭრა ჩვენი ქვეყნის ფიზკულტურელებისა და სპორტსმენების წინაშე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დადგენილებამ ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა თაობაზე.

ოლქის ფიზკულტურელებმა ამ უკანასკნელ ხანს გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს. ამჟამად სამხრეთ ოსეთის „კოლმეურნის" რიგებში გაერთიანებულია 13.418 კაცი, რაც სოფლის მშრომელთა 30 პროცენტს შეადგენს. 6 თვეში გადაჭარბებით შესრულდა პირველთანრიგოსანთა მომზადების წლიური გეგმა (10-ის ნაცვლად — 11). ამას გარდა, საგრძნობლად ამაღლდა ოლქის სპორტსმენთა ოსტატობა, რაც თვალსაჩინოდ ვლინდება საოლქო და რესპუბლიკურ შეჯიბრებებში.

ა. გალეგაშვილმა მოხსენების დიდი ნაწილი ნაკლოვანებათა ჯამომზეურებას დაუთმო. ცხინვალის რაიონი ყველაზე დიდია ოლქში. ამ რაიონში ძლიერი კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობებია, მაგრამ სპორტული შეჯიბრებები სხვებზე ნაკლები ეწყობა, სარაიონო სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებები ჯერ კიდევ არ ჩაუტარებიათ. ამ მხრივ დიდად არც ზნაურისა და ჯავის რაიონებში იწუხებენ თავს. იქ არც სპორტსმენთანრიგოსანთა მომზადების გეგმები სრულდება. ზნაურის რაიონის ფიზკულტურული კოლექტივების უმეტესობა განუმტკიცებელია და კოლმეურნეობათა გამგეობები სოფლის ახალგაზრდობაში ფიზკულტურისა და სპორტის დანერგვაზე სრულიად არ ზრუნავენ.

ოლქში დიდი გამოხმაურება ჰპოვა მახარაძის რაიონის სოფელ შემოქმედისა და გურჯაანის რაიონის სოფელ ვაზისუბნის კოლმეურნეთა, გარდაბნის რაიონის ვარკეთილის საბჭოთა მეურნეობის მუშა-მოსამსახურეთა ინიციატივამ კომპლექსური სპორტული ბაზებისა და ნაგებობათა საკუთარი სახსრებით მშენებლობის თაობაზე. ამ მხრივ დიდი მუშაობა ჩაატარეს რიგმა კოლმეურნეობებმა, რომლებიც აღებულ ვალდებულებებს პირნათლად ასრულებენ. შეიძინეს სპორტული ფორმები, რეგულარულად მონაწილეობენ სარაიონო თუ საოლქო შეჯიბრებებში და სხვ. აი, ისინიც: ერედვისა (დირექტორი ი. ქრისტესიაშვილი) და თამარაშენის (კ. თეალაშვილი) საბჭოთა მეურნეობები, ვანათის (თავმჯდომარე ვ. ლაფაჩი), დმენისის (ს. ჭოჭიევი), ავნევის (რ. სიქტურაშვილი), თერეგვნის (გაგლოევი), ხვწის (ს. ჯიოევი), წინაგრის (ს. ძუგაევი) და იკოთის (მ. ქვირია) კოლმეურნეობები.

მევრგან სოფლის მოსახლეობაში ფიზკულტურისა და სპორტის ფართოდ დანერგვის შესაძლებლობა არის, მაგრამ კოლმეურნეობათა ხელმძღვანელები ამ სასიკეთო საქმეს უგულებელყოფენ. ასეა მაგალითად, აჩაბეთის (თავმჯდომარე ნ. ბაბუციძე), ქსუისის (გ. დოგუზოვი), არცევის (ზ. გოიაევი), თიღვის (რ. ოდიკაძე), ბეყმარის (მ. კოზაევი), ჯავის (ვ. სანაკოევი), ბეზალის (გ. თედეევი) კოლმეურნეობებსა და წონის საბჭოთა მეურნეობაში (დირექტორი ვ. ჯიოევი). მათგან ზოგს საერთოდ არა აქვს სპორტმოედნები, ზოგან არის, მაგრამ კეთილმოუწყობელი და ბედის ანაბარაა მიტოვებული. ამ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობის ფიზკულტურელები არ მონაწილეობენ შეჯიბრებებში, არ არიან უზრუნველყოფილი სპორტული ინვენტარითა და ფორმებით.

თიღვისა და ავნევის კოლმეურნეობები რესპუბლიკაში მოწინავედ ითვლებიან პროდუქტების წარმოების მხრივ. მათს შესახებ ხშირად იწერება გაზეთებში. ეს სასიხარულოა, მაგრამ მათ ასე კარგად როდი აქვთ საქმე ფიზკულტურასა და სპორტშიც. რ. სიქტურაშვილი თვითონ ხელმძღვანელობს მოჭიდავეებსა და ფეხბურთელებს, უშუალოდ მონაწილეობას იღებს ამა თუ იმ სპორტულ ღონისძიებათა მოწყობაში, თიღველ თავმჯდომარეს რ. ოდიკაძეს კი ორი წელია ამაოდ ეხვეწებიან ახალგაზრდები, სპორტული ფორმა გვიყიდეო. ამ კოლმეურნეობაში სპორტმოედნის მოწყობაზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია.

პლენუმზე ითქვა, რომ სოფლად მასობრივ-სპორტული მუშაობის მოთავენი პირველადი კომკავშირული ორგანიზაციები უნდა იყვნენ, მაგრამ სამხრეთ ოსეთში ასე როდია. სპორტს უგულგულოდ ეკიდებიან კომკავშირის რაიკომებიც კი, უფრო მეტიც, ამ უკანასკნელი 8 თვის მანძილზე კომკავშირის რაიკომების არც ერთ ბიუროს არ განუხილავს საკითხი სოფლად სპორტული მუშაობის მდგომარეობის შესახებ.

აი, ამ საკითხებზე ლაპარაკობდნენ მომხსენებელი და კამათში გამოსულები. პლენუმზე სიტყვით გამოვიდა „კოლმეურნის" ცენტრალური საბჭოს წარმომადგენელი შ. კულულაშვილი.

პლენუმის მონაწილეებმა მიიღეს დადგენილება, რომელიც სამხრეთ ოსეთის სოფლის სპორტსმენებს მოუწოდებს ახალ მოთხოვნათა სიმაღლეზე აიყვანონ მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობა, თავის საქმიანობას საფუძვლად დაუდონ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის ამასწინანდელი დადგენილება ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ.

**გ. გოძიაშვილი.**

## ახალი ამბები

● **ფხენიანი, 11 სექტემბერი.** აქ გაიმართა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკისა და სსრ კავშირის ფეხბურთელ ქალთა ნაკრები გუნდების ამხანაგური შეხვედრა. დაძაბულ ბრძოლაში გაიმარჯვეს კორეელებმა — 3:2. მეორე დღეს საბჭოთა ფეხბურთელებმა ასეთივე ანგარიშით წააგეს ფხენიანის საკლუბო გუნდთან — „მორანბონთან".

● **რ უ ჟ ი ჩ ნ ა ი ა** (ხმელნიცკის ოლქი), 11 სექტემბერი. ბაიდარებითა და კანოეთი ნიჩბოსნობის საკავშირო ფედერაციის გარდამავალი თასი, რომელიც დაწესებული იყო აქ გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში გუნდურ პირველობაში გამარჯვებულისთვის, მოიპოვა საბჭოთა პროფკავშირების ნაკრებმა. 3 დღის განმავლობაში კოლმეურნეობა „კომუნარის" საწყლოსნო ბაზაზე პირველობას ერთმანეთს ეცილებოდნენ აშშ-ის, ჩეხოსლოვაკიის, გდრ-ის, შვეციის, რუმინეთის, პოლონეთისა და სსრ კავშირის სპორტსმენები. პირად პირველობაში ყველა 11 ჯილდო მოიპოვეს საბჭოთა კავშირის წარმომადგენლებმა.

### რ. ჯინჯიხაშვილი ლიდერებში

**კრასნოდარი,** 10 სექტემბერი (დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.). სსრ კავშირის ვაჟთა საჭადრაკო ჩემპიონატის აქაური ნახევარფინალის XI ტურში ჯინჯიხაშვილმა ყაიმით დაამთავრა შეხვედრა ლეინთან, XII ტურში — ბუხმანთან, XIII ტურში საქართველოს ჩემპიონმა დაამარცხა შეჯიბრების ერთ-ერთი ლიდერი იგნატიევი.

XIII ტურის შემდეგ ფინალში გასვლის რეალური შანსები აქვთ გიპსლისს (9,5), ლეინს (9), ჯინჯიხაშვილს, ტერენტიევს, გუფელდსა და კოტკოვს (7,5-7,5). ა. ბუსლაევს მხოლოდ 4 ქულა აქვს.



# ესტაფეტას

ეს-ეს არის ბუდაპეშტში დამთავრდა ევროპის მძლეოსანთა ჩემპიონატი, მაგრამ ეროვნულ ფედერაციებს მოსვენება მაინც არა აქვთ — ისინი კვლავ ამზადებენ თავიანთ ნაკრებ კოლექტივებს კონტინენტის პირველობისათვის, ამჯერად... იუნიორთა შორის. როგორც ცნობილია, პირველი ამგვარი შეჯიბრება 1964 წლის სექტემბერში გაიმართა ვარშავაში, მაგრამ ეს ასპარეზობა არაოფიციალური ხასიათისა იყო, ვინაიდან მას მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის მეთვალყურეც კი არ დასწრებია. შეიძლება ითქვას, რომ ვარშავის თამაშების წარმატებამ საერთაშორისო ფედერაცია გამოაფხიზლა და მან კონტინენტის იუნიორთა შეხვედრები თავის კალენდარში შეიტანა. ამრიგად, ევროპის იუნიორთა I ოფიციალური თამაშები წელს 23-25 სექტემბერს ოდესაში გაიმართება.

შეჯიბრების პროგრამასა და დებულებაში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა: პროგრამა შეივსო 10.000 მეტრზე სპორტული სიარულით, ათჭიდითა და ხუთჭიდით, ვაჟთა ესტაფეტის 100+200+300+400 მ ნაცვლად გაიმართება ესტაფეტა 4×400 მეტრზე, ხოლო გოგონები 600 მეტრის მაგიერ 400 და 800 მეტრზე ირბენენ. ცხადია, გადახალისდა ის ნორმატივებიც, რომლებიც სპორტსმენებმა შეჯიბრებაში მონაწილეობის უფლების მოპოვებისათვის უნდა შეასრულონ.

ვარშავისა და ოდესის თამაშების კიდევ ერთი განმასხვავებელი ნიშანი მონაწილეთა მთლიანად შეცვლილი შემადგენლობაა. პოლონეთის დედაქალაქში ძირითადად, 1945-46 წლებში დაბადებული ჭაბუკები და გოგონები ასპარეზობდნენ, ოდესაში კი სტარტზე გამოვლენ 1947 და შემდეგ წლებში დაბადებული ჭაბუკები და 1948 და შემდგომ წლებში დაბადებული გოგონები.

თამაშებისთვის სამზადისი დიდი ხანია დაიწყო. ეროვნული გუნდების შესარჩევი ტურნირები ბევრგან ივლისსა და აგვისტოში გაიმართა, ხოლო ზოგან ახლა ტარდება. ამდენად, ფავორიტების წინასწარ დასახელება ძნელია, მაგრამ მათი ადრინდელი მაჩვენებლები საშუალებას გვაძლევს ზოგიერთი მაინც გამოვყოთ.

100 მეტრზე რბენაში გამარჯვების კარგი შანსი აქვთ: ჰ. ნოიბაუერს (გდრ), ბ. ბერლაგას (გფრ), ჟ. ნიკოლოს (საფრანგეთი) და ჯ. ლაძერდას (იტალია), რომელთა საუკეთესო მაჩვენებელია — 10,4 წამი. მათ 0,1 წამით ჩამორჩებიან იუგოსლაველი ი. მუსკოვიჩი, დასავლეთგერმანელი ი. ეიგენპერი და უნგრელი ი. ბატორი. მოსალოდნელია, მეორე სპრინტერულ დისტანციაზე წარმატებით გამოვიდეს ფრანგი ჟ. ნოლე, რომელმაც ბუდაპეშტის ევროპის ჩემპიონატში უკვე სცადა ძალა და ბრინჯაოს მედალიც დაისაკუთრა. მისი საუკეთესო მაჩვენებელია 20,8 წამი. ოდესაში საპრიზო ადგილების პრეტენდენტებად მიაჩნიათ, აგრეთვე, ჟ. ნიკოლო, ჩვენი ა. ბრატჩიკოვი (21,2) და ს. სმოლიაკოვი (21,6). 400 მეტრზე რბენაში ჯერჯერობით ბადალი არა ჰყავთ იტალიელ ჯ. პუოსის და ბრატჩიკოვს, (ორივეს — 47,6). მაგრამ, მოსალოდნელია, რომ ფ. ფუძი (იტალია) მათი ძლიერი მეტოქე იქნება. საშუალო მანძილებსა და 3.000 მეტრზე რბენაში ფავორიტების საკითხი ჯერჯერობით გაურკვეველია. უფრო რთული მდგომარეობაა თარჯრბენში, ვინაიდან სხვადასხვა ქვეყანაში ჭაბუკები სხვადასხვა სიმაღლის თარჯებით სარგებლობენ, ოდესაში კი ყველას ერთნაირ პირობებში მოუხდება ასპარეზობა.

სიმაღლეზე ხტომაში საინტერესო ბრძოლებია მოსალოდნელი ბერდიჩევის მწვრთნელის ვ. ლონსკის აღსაზრდელებს ა. მოროზოვსა (213) და ვ. ჟოლკოვს (206), აგრეთვე, ნიჭიერ ჩეხოსლოვაკიელ ათლეტ რ. ბაუდოს (212) შორის. ფავორიტებს შეიძლება შევციელონ ი. კირსტი (გდრ), ოდესელი ვ. ნიკოლაძე, რომელთა აქტივშიც 205 სანტიმეტრია და საკმაოდ პოტენციურ ათლეტებად ითვლებიან. რაც შეეხება სიგრძეზე ხტომას, აქ გამარჯვებას უწინასწარმეტყველებენ როსტოველ ვ. სკიბენკოს (758), პოლონელ ი. კობუშევსკის (753) და მ. კლაუსს (749), რომელიც გდრ-ის იმედია.

სამხტომში ჯერჯერობით უპირატე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ფეხბურთი

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 13 სექტემბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „სპარტაკი" (ორჯონიკიძე) | 29 | 18 | 6 | 5 | 62—28 | 42 |
| „მეტალურგი" (რუსთავი) | 30 | 15 | 7 | 8 | 58—30 | 37 |
| „ლერნაგორცი" (კაფანი) | 29 | 15 | 6 | 8 | 39—25 | 36 |
| „ცემენტი" (ნოვოროსიისკი) | 29 | 15 | 6 | 8 | 31—21 | 36 |
| „მაშინოსტროიტ." (პიატიგორ.) | 29 | 13 | 9 | 7 | 44—27 | 35 |
| „მეშახტე" (ტყიბული) | 30 | 13 | 8 | 9 | 49—29 | 34 |
| „კოლხიდა" (ფოთი) | 30 | 11 | 10 | 9 | 31—26 | 32 |
| „ალაზანი" (გურჯაანი) | 30 | 14 | 4 | 12 | 37—38 | 32 |
| „სპარტაკი" (კისლოვოდსკი) | 30 | 12 | 8 | 10 | 30—29 | 32 |
| „ლორი" (კიროვაკანი) | 30 | 10 | 10 | 10 | 26—32 | 30 |
| „უროჟაი" (კრიმსკი) | 29 | 14 | 2 | 13 | 26—40 | 30 |
| „დინამო" (სოხუმი) | 29 | 10 | 9 | 10 | 37—35 | 29 |
| „ენგური" (ზუგდიდი) | 30 | 11 | 6 | 13 | 38—36 | 28 |
| „უროჟაი" (მაიკოპი) | 29 | 11 | 5 | 13 | 47—34 | 27 |
| „დილა" (გორი) | 30 | 10 | 7 | 13 | 24—34 | 27 |
| „დინამო" (მახაჩყალა) | 30 | 6 | 12 | 12 | 27—41 | 24 |
| „სევანი" (ოქტემბერიანი) | 30 | 8 | 6 | 16 | 38—48 | 22 |
| „არაქსი" (ერევანი) | 30 | 8 | 5 | 17 | 23—45 | 21 |
| „ურალანი" (ელისტა) | 29 | 5 | 9 | 15 | 24—63 | 19 |
| „უროჟაი" (დერბენტი) | 29 | 6 | 5 | 18 | 29—70 | 17 |

* * *

### ● 6 მატჩი

„ლერნაგორცი" (კაფანი) — „ უროჟაი" (მაიკოპი) 1:0, „არაქსი" (ერევანი) — „ურალანი" (ელისტა) 3:1, „ლორი" (კიროვაკანი) — „ცემენტი" (ნოვოროსიისკი) 1:1, „სევანი" (ოქტემბერიანი) — „უროჟაი" (კრიმსკი) 6:0, „ალაზანი" (გურჯაანი) — „უროჟაი" (დერბენტი) 3:1, „მეშახტე" (ტყიბული) — „სპარტაკი" (ორჯონიკიძე) 3:2.

## ოჩხამურელთა წარმატება

საინტერესო ბრძოლებით აღინიშნა აჭარის თასის გათამაშება ფეხბურთში ფიზკულტურული კოლექტივების გუნდებს შორის. საპატიო პრიზისთვის 50-ზე მეტი გუნდი იბრძოდა. ასპარეზობა ჩატარდა ოლიმპიური სისტემით.

ფინალურ მატჩში, რომელიც ბათუმის „დინამოს" სტადიონზე გაიმართა, ერთმანეთს შეხვდნენ ხულოს რაიონისა და ოჩხამურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის გუნდები. საინტერესო ბრძოლა ოჩხამურელთა გამარჯვებით დამთავრდა, რომლებმაც მოიპოვეს კიდეც ჯილდო.

უნდა აღინიშნოს, რომ თასის გათამაშებას მთელი რიგი ხარვეზი ჰქონდა. ასე მაგალითად, საქართველოს ჩემპიონატის I ჯგუფის მონაწილე გუნდებმა, ქობულეთის „მუქურამ" და ბათუმის „ნარინჯმა" ნახევარფინალებში არ ისურვეს თამაში და ტურნირი დატოვეს. ამ კოლექტივების ეს თვითნებური ნაბიჯი აჭარის ფეხბურთის ფედერაციის მსჯელობის საგანი უნდა გახდეს.

ო. მურვანიძე.

## მილიონთა შეჯიბრება

**ტალინი.** აქ გაიმართა ფიზკულტურული კოლექტივების საკავშირო თასის გათამაშების მორიგი კალენდარული მატჩი ფეხბურთში. ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „სტარტისა" და დონეცკის „კაპიტალნაიას" ფეხბურთელები. მინიმალური ანგარიშით (1:0) გაიმარჯვეს მასპინძლებმა.

**ტამბოვი.** როგორც უკვე ვიუწყებოდით, თასის მარშანდელმა მფლობელმა, ადგილობრივმა „სალუტმა" დაკარგა გათამაშებაში მონაწილეობის უფლება. იგი დაამარცხა ლანჩხუთის „გურიამ" ანგარიშით 2:1 (და არა 2:0, როგორც წინა ნომერში ვიუწყებოდით).

თამაში ლანჩხუთელთა მძაფრი შეტევებით დაიწყო. 25-ე წუთზე მათ პირველი წარმატება იზეიმეს: ბურთი გაიტანა ჯაგაშვილმა. შესვენების შემდეგ ინიციატივა კვლავ სტუმრების მხარეს იყო. 59-ე წუთზე იმავე ჯაგაშვილმა 20 მეტრიდან ძლიერი დარტყმით ანგარიში ორამდე გაზარდა. 4 წუთის შემდეგ ლანჩხუთელთა კარში 11-მეტრიანი საჯარიმო დაინიშნა — 2:1. დარჩენილ დროში ორთავე გუნდს ჰქონდა ბურთის გატანის საშუალება, მაგრამ ანგარიში არ შეცვლილა.

ვ. ბაქანიძე.
(ჩვენი სპეც. კორ.).

## გდრ-ის ნაკრების გამარჯვება

**ერფურტი.** აქაური ფეხბურთის მოყვარულების დიდი ინტერესი გამოიწვია ამხანაგურმა საერთაშორისო მატჩმა, რომელშიც ერთმანეთს შეხვდნენ გდრ-ისა და პოლონეთის ეროვნული ნაკრები გუნდები. სტადიონზე შეკრებილი 35 ათასი მაყურებელი დაძაბული თამაშის მოწმე გახდა. გაიმარჯვეს გერმანელმა ფეხბურთელებმა, რომლებმაც მეტოქის კარში 2 „მშრალი" ბურთი გაიტანეს.



# საქართველოს თასი ველოსპორტში

### მხოლოდ ტექნიკური შედეგები

**გამოთიშვითი რბოლა** (ვაჟები). 1. „დინამო" — 1.05,7, 2. „ბურევესტნიკი" 1.05,9, 3. „შრომითი რეზერვები" — 1.06,4.

**გამოთიშვითი რბოლა** (ქალები). 1. „დინამო" — 57,8, 2. „ბურევესტნიკი" — 59,1, 3. „შრომითი რეზერვები" — 1.03,9.

**ჯგუფური რბოლა 50 წრეზე** (ქალები). 1. ლ. სტაშევსკაია („დინამო") — 44 ქულა, 2. ს. პავლოვა („სპარტაკი") — 27, 3 ვ. ფურმანსკაია („შრომითი რეზერვები") — 17 ქულა.

**ჯგუფური რბოლა 110 წრეზე** (ვაჟები). 1. ე. მელკოვი — 69, ვ. მალევანიკი — 46, გ. ასანიძე — 45, (ყველანი — „დინამო").

**4 კმ გუნდური რბოლა** (ვაჟები). 1. „ბურევესტნიკი" — 5.08,6, 2. „დინამო" — 5.09,8, 3. „შრომითი რეზერვები" — 5.24,2.

**3 კმ გუნდური რბოლა** (ქალები). 1. „დინამო" — 4.17,0, 2. „შრომითი რეზერვები" — 4.46,0, 3. „ბურევესტნიკი" — 4.58,0.

**3 კმ გამოდევნებით რბოლა** (ქალები). 1. ს. პავლოვა — 4.32,1, 2. ლ. სტაშევსკაია — 4.35,0, 3. ქ. კალინინა („დინამო") — 4.39,9.

**გიტი 1000 მ ადგილიდან** (ვაჟები). 1. ე. მელკოვი — 1.18,1, 2. შ. კაცაძე („შრომითი რეზერვები") — 1.18,4, 3. ვ. პოპოვი („ბურევესტნიკი") — 1.18,5.

**4 კმ გამოდევნებით რბოლა** (ვაჟები). 1. ვ. პოპოვი, 2. ვ. ფეტისოვი („დინამო"), 3. ა. სტაშევსკი („ბურევესტნიკი").

**სპრინტი** (ქალები). 1. ვ. სტაშევსკაია, 2. ა. მოკროვსკაია („ბურევესტნიკი"), 3. ლ. კუნდიროვა („დინამო").

**სპრინტი** (ვაჟები). 1. შ. კაცაძე, 2. მ. გაგნიძე („შრომითი რეზერვები"), 3. ს. ბარამია („ბურევესტნიკი").

**გუნდური შედეგები:** 1. „დინამო" — 30 ქულა, 2. „ბურევესტნიკი" — 17,5 ქულა, 3. „შრომითი რეზერვები" — 11,5.

* * *

## ერთი შენიშვნა

რამდენიმე სიტყვა ვაჟთა სპრინტში გამარჯვებულ შ. კაცაძეზე („შრომითი რეზერვები"). ამ ახალგაზრდა ველოსიპედისტს უდავოდ კარგი მონაცემები აქვს, მაგრამ, როგორც ჩანს, დიდ სარბიელზე გასვლაში მას ხელს შეუშლის... ხასიათი. დიახ, ხასიათი, რომელიც კაცაძეს ჭირვეული და არაორგანიზებული ჰქონია.

ერთი წლის წინ შ. კაცაძე სსრ კავშირის ნაკრებში შეიყვანეს. სპორტსმენისთვის და ისიც ახალგაზრდისთვის, რომლის ოსტატობა ეს-ეს არის, ყალიბდება, ამაზე დიდი ბედნიერება აბა რა უნდა იყოს? კაცაძემ ნაკრების წევრთა შორის სულ მალე გაითქვა სახელი, როგორც.... უდისციპლინო ველოსიპედისტმა. ნაკრების მწვრთნელებმა იგი უკან, სამშობლოში გამოისტუმრეს, საქართველოს ველოსპორტის ფედერაციამ კი მას დისკვალიფიკაცია მისცა.

გავიდა 1 წელი, რომელსაც კაცაძისთვის არავითარი სარგებლობა არ მოუტანია. როგორც ჩანს, მან ვერ შეიგნო ჩადენილი დანაშაულის სიღრმე და კვლავ უდისციპლინოთა „ავანგარდში" მოექცა. „შრომითი რეზერვების" ცენტრალური საბჭოს პირველობაზე (მოსკოვში) იგი კვლავ სისტემატურად არღვევდა რეჟიმს. გუნდის მწვრთნელებმა კაცაძის უმსგავსობაზე შეგნებულად დახუჭეს თვალი და იგი ტულაში სსრ კავშირის პირველობაზე მიავლინეს, მაგრამ, უქმად გატარებულმა დღეებმა, კაცაძის სპორტულ ფორმაზე გავლენა იქონია. მან სპრინტერთა ტურნირში მხოლოდ მე-17 ადგილი დაიკავა, 1 კილომეტრზე გიტში კი — უფრო დაბალი.

შ. კაცაძის უდისციპლინობამ ყველა საზღვარს გადააჭარბა საქართველოს თასის გათამაშებაში. მან თავისი უხრდილი და უხამსი სიტყვებით გული ატკინა მწვრთნელს ო. დადუნაშვილს, რომლის ამაგი სპორტსმენის ოსტატობის ჩამოყალიბებაში უზომოდ დიდია.

ო. დადუნაშვილის სახელი მჭიდროდ არის დაკავშირებული საბჭოთა ველოსპორტის წინსვლასთან. იგი ჩვენი სამამულო ველოსპორტის წარმატებათა პიონერია. მას პატივს სცემენ და აფასებენ არა მარტო ჩვენს რესპუბლიკაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. რა უფლება ჰქონდა ჯერ სრულიად ჩამოუყალიბებელ ახალგაზრდას ასე უდიერად მოეხსნენებია ყველასაგან პატივცემული მწვრთნელი?

კაცაძე, როგორც ჩანს, გაყოყოჩდა, მაგრამ მას ფაქტიურად ჯერ ხომ არაფერი გაუკეთებია სამისო, და ალბათ ვერც გააკეთებს, თუ არ შეიცვალა ხასიათი, თუ არ შეიგნო, რომ მწვრთნელი მისი პირველი და ყველაზე ახლო მეგობარია. რეჟიმი, დისციპლინა ისევე საჭიროა სპორტსმენისთვის, როგორც ზრდილობა და თავმდაბლობა. კაცაძემ ისიც უნდა იცოდეს, რომ სპორტსმენი პირველ რიგში ადამიანია. სხვაგვარ წარმოდგენას ახალგაზრდის მორალურ სახეზე ჩვენი სპორტი ვერ იტანს.

* * *

სურათზე: ჯგუფურ რბოლაში გამარჯვებული ლ. სტაშევსკაია (წინა პლანზე).

ფოტო ა. სააკოვისა.

## გაწბილებული მაყურებელი

„4 სექტემბერს, 17 საათზე, გაგრის საქალაქო სტადიონზე ჩატარდება ადგილობრივი „კოლხიდისა" და გულრიფშის ნაკრების შეხვედრა აფხაზეთის 1966 წლის პირველობაზე ფეხბურთში", — იუწყებოდნენ გაგრის ქუჩებში გაკრული აფიშები.

სტადიონს დიდძალი მაყურებელი მიაწყდა. თამაშისთვის ყველაფერი მზად იყო, — ახლად მორწყული და დახაზული მოედანი, საშხაპეები და... თქვენ წარმოიდგინეთ, საუცხოო საფეხბურთო ამინდიც — გრილი ნიავით, ტალღების საამო შრიალითა და გაფითლილ ხეებს ამოფარებული მზით!

სრულ საფეხბურთო იდილიას აკლდა მხოლოდ... ფეხბურთი! აკლდა მხოლოდ იმიტომ, რომ გულრიფშელი ფეხბურთელები არ გამოცხადდნენ დანიშნულ მატჩზე.

მასპინძლებმა ამაოდ იცადეს შებინდებამდე, და... გაყიდული ბილეთების ფული დიდი მობოდიშებით დაუბრუნეს „პოტენციურ" მაყურებლებს. ჩვენ კი გვინდა გულრიფშის სპორტკავშირის თავმჯდომარეს ა. უჩანეიშვილს ვკითხოთ: „რატომ არ გამოცხადდნენ დანიშნულ მატჩზე თქვენი ფეხბურთელები, რად ჩაშალეთ შეხვედრა?!" სხვათა შორის, ამ კითხვით ბევრმა მოსკოველმა, კიეველმა, დონეცკელმა, ტაშკენტელმა ფეხბურთის მოყვარულმა მიმართა გაგრის სპორტკავშირის თავმჯდომარეს ნ. გვასალიას. უხერხულობისგან დაბნეულმა მასპინძელმა ისღა მოახერხა, რომ გულრიფშელთა მიმართ მოკრძალებული საყვედური გაევლო გულში: „ოქვე კაი ხალხო, თუ სათამაშოდ არ მოდიოდით, დეპეშა მაინც გამოგეგზავნათ".

ო. ნოზაძე.

# ოდესა მიიღებს

ხობა მასპინძელთა მხარესაა, ვინაიდან ვორონეჟელი ნ. დუდკინის მაჩვენებელი — 15,98 და ლვოველ ვ. სავლევიჩის შედეგი — 15,26 სხვებისთვის მიუწვდომელია. სამაგიეროდ, ჭოკით ხტომაში ბადალი არა ჰყავს ვ. ვისნერს — 462, ჰ. ენგელს და ფ. ჰანემანს (სამივე გდრ-დან) — 450. საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლა შეუძლიათ ფინელ ა. კალიომიაკის და როსტოველ გ. მელიქიანსაც.

მოსალოდნელია, რომ მრავალჭიდელთა ასპარეზობას ტონს მისცემენ ჩეხოსლოვაკიელი ფ. ქემშა და ჩვენი ა. ტამერტი (ბირთვი), უნგრელი ფ. ტეგლა და ქემშა (ბადრო), ჰ. აბრაჰამი (გფრ) და მინსკელი ვ. რადჩენკო (შუბი), ბაქოელი ე. კონოვალოვი და მინსკელი ვ. ხმელევსკი (ურო), ათჭიდში კი მეტოქეთა შორის ჯერჯერობით საუკეთესოა ჰ. ნერლიჰი (გფრ), რომლის საუკეთესო შედეგი 7.534 ქულაა. სპორტსმენმა ეს ქულები გფრ—სსრ კავშირის მატჩში დააგროვა.

თუ უკვე ვარშავის შეჯიბრებამდე იყო ცნობილი, რომ ამ ასპარეზობისას ქალთა სპრინტში ოქროს მედლებს მასპინძლები ე. კლობუკოვსკა და ი. კირშენშტეინი გაინაწილებდნენ, ოდესაში ამგვარი ფავორიტები არ იქნებიან, თუმცა ყველაზე მეტი შანსი იუგოსლაველ ლ. პეტნარიჩს აქვს. თარჯრბენში ყველას ლუგანსკელი ვ. ბელოვა ჯობს, თუმცა მას არც პოლონელი ტ. სუკნევიჩი და შვეიცარიელი მ. ანტენენი (სამივეს შედეგია 11,1) ჩამორჩებიან. სიმაღლეზე ხტომაში გაიმარჯვებს გ. ტილე (გდრ), რომელმაც წლეულს ორჯერ გადალახა 173 სმ, ან რუმინელი ე. ტოენესკუ (171).

ცხადია, შეიძლება დავასახელოთ ფავორიტები სხვა სახეობებშიც, მაგრამ მათ შესახებ წინასწარ რაიმეს გადაწყვეტით თქმა შეუძლებლად მიგვაჩნია. ევროპის ჭაბუკ მძლეოსანთა მიღწევები დღეისთვის ასეთია:

**ვაჟები: 100 მ** — ლ. ბერუტი (იტალია, დაბად. 1939 წ.) — 10,3 (შემდეგი ნაჩვენები იქნა 1958 წელს); **200 მ** — რ. ბამბიუკი (საფრანგეთი, 1945) — 20,7 (1964); **400 მ** — ა. მეტკალფი (ინგლისი, 1942) — 45,7 (1961); **800 მ** — ა. კრიუგერი (გფრ, 1944) — 1.48,6 (1963); **1.500 მ** — ბ. ვისნერი (გდრ, 1946) — 3.42,2 (1965); **3.000 მ** — მ. დედიუკა (იტალია, 1944) — 8.14,0 (1963); **1.500 მ წინაღობებით** — ა. ბერდეროუბი (შვეცია, 1946) — 4.00,6 (1965); **110 მ თარჯრბენი** — ვ. სიკუ (რუმინეთი, 1946) — 13,7 (1965); **400 მ თარჯრბენი** — ს. მორალე (იტალია, 1939) — 51,7 (1957); **სიმაღლეზე ხტომა** — ვ. ბრუმელი (სსრ კავშირი, 1942) — 225 სმ (1961); **სიგრძეზე ხტომა** — რ. სტენიუსი (ფინეთი, 1943) — 785 სმ (1962); **ჭოკით** — ვ. მუსტაკარი (ფინეთი, 1946) — 495 სმ (1965); **სამხტომი** — პ. პოუსი (ფინეთი, 1946) — 16,02 (1965); **ბირთვის კვრა** — გ. ფეჰერი (უნგრეთი, 1945) — 17,49 (1964); **ბადროს ტყორცნა** — ი. ჰაგარო (უნგრეთი, 1946) — 55,12 (1965); **უროს ტყორცნა** — უ. ბეიერი (გფრ, 1945) — 68,09 (1964); **შუბის ტყორცნა** — ა. ოსი (ნორვეგია, 1946) — 79,23 (1964); **ათჭიდი** — მ. ბოკი (გფრ, 1941) — 7.309 ქულა (1960).

**გოგონები: 100 მ** — ე. კლობუკოვსკა (პოლონეთი, 1946) — 11,1 (1965); **200 მ** — ი. კირშენშტეინი (პოლონეთი, 1946) — 22,7 (1965); **400 მ** — ლ. გოვონი (იტალია, 1944) — 54,9 (1963); **800 მ** — მ. ჰოდსონი (ინგლისი, 1946) — 2.05,3 (1964); **80 მ თარჯრბენი** — ე. ბედნარეკი (პოლონეთი, 1944) — 10,8 (1964); **სიმაღლეზე ხტომა** — ლ. ნოულსი (ინგლისი, 1946) — 173 (1962); **სიგრძეზე ხტომა** — ი. კირშენშტეინი — 660 (1964); **ბირთვის კვრა** — ნ. ჩიჟოვა (სსრ კავშირი, 1945) — 16,60 (1964); **ბადროს ტყორცნა** — ლ. ვესტერმანი (გფრ, 1944) — 51,70 (1963); **შუბის ტყორცნა** — მ. პენეში (რუმინეთი, 1947) — 60,54 (1964); **ხუთჭიდი** — ი. კირშენშტეინი — 4.705 ქულა (1965).

# „ახალი სისხლი" არ იქნება

ამ რამდენიმე კვირის წინ „ტურ დე ფრანსის" ველორბოლის დირექტორმა ბატონმა ფელიქს ლევიტანმა და ამ შეჯიბრებების საორგანიზაციო კომიტეტის სხვა წარმომადგენლებმა წამოაყენეს წინადადება „ტურ დე ფრანსი" იქცეს ეროვნული გუნდების შეჯიბრებად, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ პროფესიონალებიცა და მოყვარულებიც. ლევიტანმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ველორბოლის ორგანიზატორები დაინტერესებული არიან ამ ასპარეზობაში სოციალისტური ქვეყნებისა და განსაკუთრებით, სსრ კავშირის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, გდრ-ის სახელგანთქმული მოყვარული სპორტსმენების გამოსვლით... „იმისათვის, რომ ახალი სული შთაბერონ ჩვენს შეჯიბრებებს, იმისათვის, რომ ახალი სისხლი შემატონ რბოლებს, — აღნიშნა „ტურ დე ფრანსის" დირექტორმა, — ჩვენთვის აუცილებელია მოყვარულ ველომრბოლელებთან გაერთიანება. ეს განაახლებს „ტურ დე ფრანსს" და მაყურებელთა დიდის ინტერესს გამოიწვევს".

მაგრამ ამ გეგმას განხორციელება არ ეწერა... მოყვარულ ველოსიპედისტთა საერთაშორისო კავშირის წარმომადგენელთა მორიგ სხდომაზე დელეგატთა უმრავლესობამ უარყო იგი. ისინი ლაპარაკობდნენ, რომ მოყვარულთა და პროფესიული სპორტი ძალზე განსხვავდება ერთმანეთისაგან. „ღია რბოლების" მოწყობა ნიშნავს, რომ მოყვარული ველოსიპედისტებიც უნდა დავუმორჩილოთ ფულის სიყვარულს, რაც ესოდენ დამახასიათებელია პროფესიული სპორტისთვის. ამასთან, დელეგატებმა აღნიშნეს, რომ პროფესიონალებთან გაერთიანება მოყვარულ სპორტსმენებში საგრძნობლად გაზრდის იმ „ავადმყოფობებს", რაც დამახასიათებელი და ტიპიურია პროფესიული ველოსპორტისთვის". ლაპარაკია დოპინგზე, კორუპციაზე და ბნელი მაქინაციების სხვა საშუალებებზე.

პროფესიულ ველოსიპედისტთა შეჯიბრებას, როგორც წესი, ორი მხარე აქვს — სპორტული და კომერციული. რბოლის ორგანიზატორებს მეტწილად კომერციული მხარე აინტერესებთ და ამიტომაც მას ყოველმხრივ უკეთებენ რეკლამას. აი, ახლაც, თქვენ ხედავთ მსოფლიოს უძლიერეს პროფესიონალ ველოსიპედისტებს კომერციული რეკლამის ატმოსფეროში. რეკლამის ობიექტი ამ სპორტსმენთა ოსტატობა კი არ არის, არამედ... ცნობილი იტალიური მაკარონი, რომელსაც ველოსიპედისტები გემრიელად შეექცევიან.

* * *

სურათზე (მარცხნიდან): — პროფესიონალური ველოსპორტის „ვარსკვლავები" მოტა, ადორნი, ანკეტილი და ჯიმონდი.



# საჭადრაკო ფესტივალი

## სსრ კავშირის ჭადრაკის ფედერაციაში

მთელი ჩვენი ქვეყანა გულდაგულ ემზადება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის აღსანიშნავად. სპორტული საზოგადოებრიობა ამ ღირსშესანიშნავ თარიღს სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადით ეგებება. სპარტაკიადაში ჩაებმებიან საბჭოთა მოჭადრაკეებიც, რომლებიც თავის მხრივ საჭადრაკო ფესტივალსაც აწყობენ. ფესტივალი საბჭოთა ჭადრაკის მიღწევათა დემონსტრაციად უნდა იქცეს.

ამას წინათ ჭადრაკის საკავშირო ფედერაციამ განიხილა და დაამტკიცა ფესტივალის პროგრამა, რომელიც მრავალ საინტერესო ღონისძიებას მოიცავს.

ფესტივალი დაიწყება 1966 წლის სექტემბერში და დასრულდება 1967 წლის დეკემბერში. მასში რამდენიმე ათეული მილიონი კაცი მიიღებს მონაწილეობას.

რა თქმა უნდა, ფესტივალის ძირითად პროგრამას ტურნირები და მატჩები შეადგენს. მათგან ყველაზე ხალხმრავალი იქნება საკავშირო მასობრივი ტურნირი. ეს შეჯიბრება, რომელიც ქალებისა და ვაჟებისთვის ცალცალკე ეწყობა, სამ ეტაპად ჩატარდება. პირველი მოიცავს მიმდინარე წლის სექტემბერ-დეკემბერს. ამ ხნის მანძილზე უნდა ჩატარდეს მასობრივი შესარჩევი ტურნირები ფიზკულტურულ კოლექტივებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, საწარმოო და სასწავლო დაწესებულებებში, სამხედრო ნაწილებში.

მეორე ეტაპი გაიმართება 1967 წლის იანვრიდან დეკემბრამდე. ამ პერიოდში პირველ ეტაპში გამარჯვებული მოჭადრაკეები ერთმანეთს შეხვდებიან ჯერ რაიონის, თუ ქალაქის, შემდეგ ოლქის, მხარის, ავტონომიური და მოკავშირე რესპუბლიკების მასობრივ ტურნირებში. მესამე ეტაპი ასპარეზობის ფინალია (1967 წლის დეკემბერი, მოსკოვი), რომელშიც 140 ვაჟი და 80 ქალი მიიღებს მონაწილეობას.

არანაკლებ საინტერესო ტურნირები და მატჩები მოეწყობა მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქებში (1967 წლის ოქტომბერ-ნოემბერი). ამ ასპარეზობებში მონაწილეობას მიიღებენ დიდოსტატები, ოსტატები და საჭადრაკო მოძრაობის ვეტერანები.

ფესტივალის პერიოდში ჩატარდება სსრ კავშირის ქალაქების III საჭადრაკო პირველობა ტელეგრაფით თამაშში.

ბევრ საინტერესოს გვპირდება „ჭადრაკის კვირეული", რომელიც მთელს ჩვენს ქვეყანაში მოეწყობა 8-16 აპრილს. კვირეულის დღეებში გაიმართება საჭადრაკო საღამოები, ცნობილი მოჭადრაკეების ერთდროული თამაშის სეანსები და ლექციები, თამაში „ცოცხალი ჭადრაკით", მასობრივი გუნდური მატჩები, საჭადრაკო კომპოზიციის ამომხსნელთა კონკურსები, ვიქტორინები და სხვა.

ფესტივალის დღეებში მოსკოვში მოეწყობა სსრ კავშირის ცენტრალური საჭადრაკო კლუბის ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი. მ. ჩიგორინის ხსოვნის ტურნირი გაიმართება ლენინგრადში, უკრაინის ფედერაცია აწყობს ქალთა საერთაშორისო ტურნირს კიევში, ხოლო გოგონათა მსოფლიოს I ჩემპიონატს — ლვოვში.

ფესტივალის თაოსნებს არც კომპოზიციის მოყვარულნი დავიწყებიათ. განზრახულია ჩატარდეს სსრ კავშირის პირადი პირველობა საჭადრაკო კომპოზიციაში, ხოლო სსრ კავშირის ჭადრაკის ფედერაცია გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდასთან" ერთად გამოაცხადებს ახალგაზრდა ავტორთა საკავშირო კონკურსს ამოცანებისა და ეტიუდების შედგენაში. გაზეთ „პრავდის" რედაქცია და სსრ კავშირის ჭადრაკის ფედერაცია გამართავენ დიდ საერთაშორისო კონკურსს საჭადრაკო კომპოზიციაში.

15-18 ივნისს მოსკოვში გაიმართება სსრ კავშირის ჭადრაკის ფედერაციის საიუბილეო პლენუმი, რომელიც შეაჯამებს ჩვენს ქვეყანაში საჭადრაკო მოძრაობის შედეგებს 50 წლის მანძილზე და დააჯილდოებს ამ მოძრაობის აქტივისტებს. გაიმართება აგრეთვე სამეცნიერო-თეორიული კონფერენცია.

სსრ კავშირის ჭადრაკის ფედერაცია გამოთქვამს რწმენას, რომ ამ უაღრესად დიდ და პასუხსაგებ სპორტულ ღონისძიებაში აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ არა მარტო ცნობილი მოჭადრაკეები და გულშემატკივრები, არამედ გაზეთების რედაქციები, რადიო და ტელევიზიის კომიტეტები. ადგილობრივ საჭადრაკო ფედერაციებსა და სექციებს, სპორტკავშირებს, დიდი მუშაობა მართებთ ფესტივალის სანიმუშოდ ჩატარებისთვის.

ამ დღეებში მომავალ საჭადრაკო ფესტივალთან დაკავშირებულ საკითხებზე იმსჯელებს რესპუბლიკური ფედერაციის პრეზიდიუმიც.

## კრივი

# მოჰამედ ალიმ შეინარჩუნა ჩემპიონობა

მაინის ფრანკფურტი, 11 სექტემბერი. გუშინ აქ გაიმართა მატჩი მძიმე წონის პროფესიონალ მოკრივეთა შორის მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონის სახელზე. ერთმანეთს შეხვდნენ ამ ტიტულის მფლობელი ამერიკელი ზანგი მოჰამედ ალი (კასიუს კლეი) და ევროპის ჩემპიონი, დასავლეთგერმანელი კ. მილდენბერგერი.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ გერმანიას პროფესიული კრივის უმაღლესი ტიტულისთვის მებრძოლი მ. შმელინგის შემდეგ არ ჰყოლია. შმელინგი 30 წლის წინ ფინალურ მატჩში შეხვდა ლეგენდარულ ჯო ლუისს და ნოკაუტით დამარცხდა.

მილდენბერგერს მოჰამედ ალისთან შეხვედრამდე ჩატარებული ჰქონდა 54 ბრძოლა. მის აქტივშია 49 გამარჯვება, 3 ფრე და მხოლოდ 2 წაგება. მოჰამედ ალიმ მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის ჩატარებულ 26 ბრძოლიდან ყველა მოიგო, მათ შორის, 21 ნოკაუტით. ახლახანს მსოფლიო ჩემპიონმა დაამარცხა 2 ინგლისელი მოკრივე ჰ. კუპერი და ბ. ლონდონი.

გუშინდელი მატჩის დამთავრების შემდეგ მოჰამედ ალიმ განაცხადა: „მილდენბერგერმა სრულიად მოულოდნელად ღირსეული წინააღმდეგობა გამიწია. იგი ევროპელ მოკრივეთა შორის უძლიერესია".

ბრძოლის ბედი, ფაქტიურად, VIII რაუნდში გადაწყდა, როდესაც მოჰამედ ალის მძლავრი მარჯვენა ხუკმა გერმანელი ნოკდაუნში გაგზავნა; ამის შემდეგ მილდენბერგერმა რინგზე კიდევ 4 რაუნდი დაჰყო. მე-11 რაუნდში მას წარბი დაუზიანდა, მაგრამ რინგიდან გასვლაზე მაინც უარი თქვა.

და მხოლოდ მე-12 რაუნდის ბოლოს შეაჩერა ბრძოლა მსაჯმა. ამერიკელის უპირატესობა აშკარა იყო. გასისხლიანებულმა გერმანელმა დატოვა რინგი. მოჰამედ ალიმ შეინარჩუნა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული.

## ჩემპიონატები, მატჩები, ლიდერები

# რ. კოპა კვლავ „ორბიტაზეა"

საფრანგეთის ჩემპიონატის IV ტურში ქვეყნის ჩემპიონმა „ნანტმა" დაამარცხა „რენი" 1:0. ერთადერთი ბურთის ავტორია ბლანშე. მიმდინარე სეზონში პირველი გამარჯვება მოიპოვა ქვედა ლიგიდან დაბრუნებულმა „რეიმსმა". მან საკუთარ მინდორზე მოუგო „ნიცას" — 2:0. ორივე გოლი რეიმსელებმა კოპას მიერ წამოწყებული კომბინაციების შედეგად გაიტანეს. ჩემპიონატის საუკეთესო სნაიპერია რეველი („სენტ ეტიენი") — 5 გოლი.

მოგვყავს პრიზიორთა სამეულის მდგომარეობა:

| | თ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|
| „ნანტი" | 4 | 12—6 | 7 |
| „სენტ ეტიენი" | 4 | 7—2 | 7 |
| „ბორდო" | 4 | 5—2 | 6 |

(საქ. ინფ.).

# სარეკორდო ანგარიშით

გასულ შაბათს გაიმართა შოტლანდიის ჩემპიონატის I ტურის მატჩები. „სელტიკმა" გასვლით მატჩში დაამარცხა „კლაიდი" — 3:0. გოლები გაიტანეს ჩალმერსმა, მაკბრაიდმა და ჰიუზმა. „გლაზგო რეინჯერსმა" საკუთარ მინდორზე დაამარცხა „პარტიკ თისტლი" — 6:0. 4 გოლის ავტორია ცენტრფორვარდი მაკ-ლინი.

მოგვყავს დანარჩენ შეხვედრათა შედეგები: „ედრიონიენსი" — „მადერუელი" 2:0, „ეირ იუნაიტედი" — „დამფერმლაინი" 0:0, „დანდი" — „აბერდინი" 2:1, „ჰიბერნიენი" — „ჰართ ოვ მიდლოტიენი" 3:1, „სენტჯონსტონი" — „დანდი იუნაიტედი" 2:0, „სენტ-მირენი" — „კილმარნოკი" 3:2, „სტერლინგ ალბიონი" — „ფოლკერკი" 1:1.

(საქ. ინფ.).

# ბრიტანელები შტატებში

ცნობილმა უელსელმა ფეხბურთელმა ფ. ვუზნემმა აშშ-ის ეროვნული პროფესიული ლიგის მოწვევა მიიღო და „ატლანტას" (ჯორჯია) მწვრთნელად დაინიშნა. ვუზნემს უელსის ნაკრებში 17-ჯერ აქვს ნათამაშები. ბოლო წლებში იგი ბირმინგემის „ასტონ ვილაში" გამოდიოდა. როგორც ბრიტანული პრესა იუწყება, ვუზნემს ბევრი ინგლისელი ფეხბურთელი და მწვრთნელი გაყვება. აშშ-ში ეროვნული პროფესიული ლიგა ჩემპიონატს აპრილში დაიწყებს.

# გრივსის გადამწყვეტი გოლი

მშვიდობიანად ჩატარდა ინგლისის ჩემპიონატის მორიგი ტური. მეტოქეები 11 შეხვედრიდან რვაში ფრეს დასჯერდნენ. ამასთან, 7 მატჩში ერთნაირი ანგარიში — 1:1 აღინიშნა.

ტურის ცენტრალური შეხვედრა იყო „ტოტენჰემ ჰოტსპურისა" და „მანჩესტერ იუნაიტედის" მატჩი, რომელსაც 60 ათასზე მეტი მაყურებელი დაესწრო. წინა ტურში მეტოქეებმა — 2-2 ქულა დაკარგეს, რის გამოც მატჩი მეტად დაძაბული გამოდგა. ანგარიში მანჩესტერელმა ლოუმ გახსნა, მაგრამ გილზინმა და გრივსმა წინ გაიყვანეს „ტოტენჰემი". ანგარიშით — 2:1 გაიმარჯვა „ტოტენჰემ ჰოტსპურმა". ინგლისის ჩემპიონმა „ლივერპულმა" საკუთარ მინდორზე ფრედ დაამთავრა შეხვედრა „შეფილდ უენსდეისთან" — 1:1.

ტურის დანარჩენი შეხვედრების შედეგები ასეთია: „ნიუკასლ იუნაიტედი" — „ბერნლი" 1:1, „ჩელსი" — „სანდერლენდი" 1:1, „ევერტონი" — „შეფილდ იუნაიტედი" 0:0, „ლიდს იუნაიტედი" — „ნოტინგემ ფორესტი" 1:1, „ლესტერ-სიტი" — „საუთჰემპტონი" 1:1, „ბლეკპული" — „ასტონ ვილა" 0:2, „მანჩესტერ-სიტი" — „არსენალი" 1:1, „სტოკ-სიტი" — „ვესტ ჰემ იუნაიტედი" 1:1, „ვესტ ბრომვიჩ ალბიონი" — „ფულჰემი" 5:0.

გათამაშების ლიდერია „ბერნლი" 10 ქულა. II ადგილზეა „შეფილდ უენსდეი" — 9.

(საქ. ინფ.).

# ფეხბურთის ამბები

● **მილანი.** „გაძეტა დელო სპორტის" ყოველწლიური პრიზებით დაჯილდოვდნენ „ნაპოლის" თავდამსხმელი სივორი (როგორც 1965-66 წ. ეროვნული ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშე), „ინტერის" მწვრთნელი ერერა (როგორც სეზონის საუკეთესო მწვრთნელი) და „ინტერისა" და „ნაპოლის" კლუბების პრეზიდენტები — მორატი და ფიორე.

● **პარიზი.** საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციამ გადაწყვიტა გადააყენოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი გერენი. გერენს რწმუნების ვადა 1968 წელს უთავდება. ამ დრომდე ფედერაცია ვალდებულია მას ჯამაგირი უხადოს.

● **ლონდონი.** ინგლისის ფეხბურთის ფედერაციის მდივანმა ჰარდეკერმა წინადადება მიიღო სათავეში ჩაუდგეს აშშ-ის ეროვნულ ფედერაციას და ჩაატაროს იქაური ჩემპიონატი. მას გასამრჯელოდ 11 ათას გირვანქა სტერლინგს სთავაზობენ.

● **ბრიუსელი.** ბელგიის ფეხბურთის ფედერაციამ გადაწყვიტა ეროვნული ჩემპიონატის თამაშებში დაუშვას მეკარის და მინდვრის ერთი მოთამაშის შეცვლა.

● **სან-პაულუ.** ევროპაში ფრიად მარცხიანი მოგზაურობის შემდეგ, სან-პაულუს „კორინტიანსის" ხელმძღვანელობამ გამოაცხადა, რომ თანახმაა გაყიდოს გარინჩა, დინო და ოლივეირა.

რედაქტორის მოადგილე ზ. ჯაფარიძე.

**თბილისის სპორტულ ბაზებზე**

**ფეხბურთი.** „დინამოს" სტადიონი. **13 სექტემბერი. სსრ კავშირის პირველობა. „ა" კლასი. „დინამო" (თბილისი) — ასკ (ოდესა).** ძირითადი შემადგენლობანი. დასაწყისი 19 ს.

**მძლეოსნობა.** „დინამოს" სტადიონი. **13 სექტემბერი. სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების საკავშირო პირველობა.** დასაწყისი 17 ს.

**ჭადრაკი.** ცენტრალური საჭადრაკო კლუბი (რუსთაველის პრ. № 48). **14 სექტემბერი- 2 ოქტომბერი. თბილისის პირველობის ნახევარფინალები. ხვალ — I ტური.** დასაწყისი 18 ს.

ИНДЕКС 65118 საქ. კპ ც-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.



უე 12051